# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№184 2020 წლის 30 იანვარი ქ. თბილისი

## საქართველოს საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის 2020 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 და მე-6 მუხლებისა და „საქართველოს საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 ივლისის №1389 განკარგულებით დამტკიცებული საქართველოს საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული საქართველოს საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის 2020 წლის სამოქმედო გეგმა (შემდგომში – სამოქმედო გეგმა).

2. სამოქმედო გეგმაში მითითებულ სამინისტროებსა და უწყებებს დაევალოთ, ხოლო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ეთხოვოს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან კოორდინაციით უზრუნველყონ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება.

3. განკარგულება ძალაშია 2020 წლის 1 იანვრიდან.

**პრემიერ-მინისტრი** **გიორგი გახარია**

| საქართველოს საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის 2020 წლის სამოქმედო გეგმა | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ამოცანა | # | აქტივობა | შესრულების ინდიკატორი | პასუხისმგებელი უწყება | პარტნიორი ორგანიზაცია | ვადა | საპროგნოზო ბიუჯეტი (ლარი) | დაფინანსების წყარო | შენიშვნა |
| ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის ხარისხის გაუმჯობესება | 1 | ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების არსებულ სისტემაში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება | შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი წარდგენილია საქართველოს მთავრობისთვის | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო | | I-IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | 2 | საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მათი ნაწილების და სისტემების წარმოებისა და შემდგომში აღიარებისათვის სათანადო საკანონმდებლო საფუძვლის შექმნის მიზნით, გაეროს "ტიპის აღიარების შესახებ" 1958 წლის შეთანხმების დებულებების საქართველოს კანონმდებლობაში ასახვა | შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი წარდგენილია საქართველოს მთავრობისთვის | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო | | I-IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| საგზაო მოძრაობის მონაწილეების უსაფრთხოების დონის გაზრდა | 3 | მძღოლთა პროფესიული კომპეტენტურობის ასამაღლებელი რეგიონალური მნიშვნელობის ტრენინგ-ცენტრის მშენებლობა/მოწყობა | შექმნილია რეგიონალური მნიშვნელობის მძღოლთა პროფესიული მომზადების ტრენინგ-ცენტრი | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო | | I-IV კვ. | 14 000 000 | სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს ბიუჯეტი | |
| | 4 | მართვის მოწმობის გამოცდების რეალურ პირობებში გატანა | რეალურ პირობებში გატანილია მართვის მოწმობის მისაღები გამოცდების პროცესი | სსიპ შსს მომსახურების სააგენტო | მუნიციპალიტეტები (რუსთავი, თელავი, გორი, ახალციხე, ქუთაისი, საჩხერე, ოზურგეთი, ბათუმი); საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი; სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი | I-IV კვ. | 1 000 000 | სსიპ შსს მომსახურების სააგენტო | |
| | 5 | საგზაო შემთხვევების პრევენციის მიზნით გზით მოსარგებლეთა ქცევით ცვლილებებზე მიმართული აქტიური საინფორმაციო კამპანია (საგანმანათლებლო და საპოპულარიზაციო მასალების ბეჭდვა, გავრცელება და ვებ-გვერდზე მასალის განთავსება) | სოციალურ ქსელში ან/და ვებ-გვერდზე განთავსებული შესაბამისი მასალისა და მნახველების რაოდენობა | სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი | | I-IV კვ | ადმინისტრაციული ხარჯი | სახელმწიფო ბიუჯეტი და ჯანმრთელობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა | |
| | 6 | საგზაო უსაფრთხოების კამპანიის - #მეტისიცოცხლისთვის - განხორციელება | ჩატარებული და გავრცელებული ღონისძიებების რაოდენობა;<br>სატელევიზიო გადაცემებში მონაწილეობის/სატელევიზიო ინტერვიუების რაოდენობა.<br>გავრცელებული ბროშურების/ბუკლეტების რაოდენობა;<br>საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების/ღონისძიებების რაოდენობა. | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; ქ. თბილისის მუნისიპალიტეტის მერია | I-IV კვ. | 10 000 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | 7 | სასწავლო წლის დასაწყისში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, სადაც წარმოდგენილია საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურები, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საკითხებზე ინფორმაციის მიწოდება | საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების ცნობიერების ამაღლების მიზნით 588 სკოლაში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა | სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური | | III-IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | სახელმწიფო ბიუჯეტი | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 8 | საგზაო უსაფრთხოების თემაზე მასწავლებლების დატრენინგება ტრენინგმოდულის "2018-2024 წლების (დაწყებითი საფეხურის) ეროვნული სასწავლო გეგმა - საგანი მე და საზოგადოება" ფარგლებში. | მასწავლებელთა რაოდენობა, რომლებიც გაივლიან ტრენინგს | მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი | | I-IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ბიუჯეტი | |
| | 9 | ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესაბამისად, ქართული კანონმდებლობის დაახლოება „მართვის მოწმობების შესახებ" ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 2006/126/EC დირექტივასთან | სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის კატეგორიებს დამატებულია AM (მოპედი) და A2 (მოტოციკლი) კატეგორიები | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; სსიპ შსს მომსახურების სააგენტო | | I კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | სახელმწიფო ბიუჯეტი; სსიპ - შსს მომსახურების სააგენტოს ბიუჯეტი | |
| საგზაო მოძრაობის წესების აღსრულების ეფექტურობის გაუმჯობესება | 10 | ეროვნული ვიდეო მეთვალყურეობის სისტემის დამატებითი განვითარება, ვიდეო-კამერების შესყიდვა და დამონტაჟება | ქვეყნის მასშტაბით დამატებით 100 ვიდეოკამერის დამონტაჟება | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი ოპერაციების ცენტრი | | I-IV კვ. | 400 000 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | 11 | საშუალო სიჩქარის კონტროლის სექციების მოწყობა საქართველოს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე | დამატებით არანაკლებ 200კმ. სიგრძის საავტომობილო გზის მონაკვეთზე ამოქმედებულია საშუალო სიჩქარის კონტროლის სექციები | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი ოპერაციების ცენტრი | | I-IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | 12 | ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ცვლილებათა პაკეტის ინიცირება, სახდელების გამკაცრება, ახალი სამართალდარღვევების შესახებ სამართლის ნორმების ჩამოყალიბება, ვიდეო ჯარიმებზე ქულათა სისტემის მიბმა | შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი წარდგენილია საქართველოს მთავრობისთვის | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტი | | I-IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | 13 | პოლიციის სარგებლობაში არსებული შესაბამისი ამოსაცნობი ნიშნების არმქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებებით საპატრულო ეკიპაჟების რაოდენობის ზრდა, უკონტაქტო პატრულირების განვითარება (საჭირო აღჭურვილობის შესყიდვა, შერეული პატრულირების მეთოდის რეალიზაცია და სამოქმედო არეალის გაზრდა) | გაზრდილია უკონტაქტო პატრულირების ეკიპაჟების რაოდენობა | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი | | I-IV კვ. | 379 500 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | 14 | იმერეთის და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონი (ლოტი I) შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის უსაფრთხოების არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების განხორციელება (ლითონის მრუდხაზოვანი ძელების მოწყობა) | მოწყობილია 71 400 გრძ.მ ლითონის მრუდხაზოვანი ძელები | საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | II-IV კვ. | 7 514 848 | მსოფლიო ბანკი | |
| | 15 | მცხეთა-მთიანეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში (ლოტი II) შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის უსაფრთხოების არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების განხორციელება (ლითონის მრუდხაზოვანი ძელების მოწყობა) | მოწყობილია 31 370 გრძ.მ ლითონის მრუდხაზოვანი ძელები | საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | II-IV კვ. | 3 289 483 | მსოფლიო ბანკი | |
| | 16 | გურიის და იმერეთის მხარეში საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე ზენორმატიულად დატვირთული სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის საკონტროლებლად შესაბამისი სასწორების შეძენა | ზენორმატიულად დატვირთული სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის საკონტროლებლად შესყიდულია 38 სასწორი და გადაცემული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის. | საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | II-IV კვ. | 5 085 280 | აზიის განვითარების ბანკი | |
| | 17 | მცხეთა-მთიანეთის რეგიონში საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების უსაფრთხოების ხარისხის და არსებული რისკების განსასაზღვრად iRAP-ის საპილოტე კვლევის ჩატარება | iRAP-ის საპილოტე კვლევა ჩატარებულია 594 კილომეტრი სიგრძის საავტომობილო გზის მონაკვეთებზე. | საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | I-IV კვ. | 333 339 | მსოფლიო ბანკი | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საგზაო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების დონის გაუმჯობესება | 18 | შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზაჰესი-მცხეთა-კავთისხევი-გორი-სკრა-ქარელი-ოსიაურის საავტომობილო გზის კმ10+500-კმ13+700 მონაკვეთზე მოძრაობის უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები | შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზაჰესი-მცხეთა-კავთისხევი-გორი-სკრა-ქარელი-ოსიაურის საავტომობილო გზის კმ10+500-კმ13+700 სოფელ ძეგვზე გამავალ მონაკვეთზე მოწყობილია ტროტუარები, სადრენაჟე სისტემა და საგზაო ნიშნები. | საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | I-III კვ. | 1 940 777 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | 19 | საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის, (სულ 1283 კილომეტრი ) უსაფრთხოების არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ინსპექტირების განხორციელება | 1283 კილომეტრის საავტომობილო გზის მონაკვეთზე იდენტიფიცირებულია უსაფრთხოების პრობლემები, დასახული ღონისძიებების შესაბამისად მოწყობილია საგზაო ინფრასტრუქტურა | საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | I-III კვ. | 1 500 000 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | 20 | დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე ე. წ .- ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემის" დანერგვა (ITS). | ქ. თბილისში შემცირებულია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები | ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია. ტრანსპორტის საქალაქო სამსახური. | გერმანული საინვესტიციო ბანკი. (KFW). | I-IV კვ. | 4 000 000 | ადგილობრივი ბიუჯეტი | |
| | 21 | ქ თბილისის ურბანული მობილურობის გეგმის მომზადება და დამტკიცება | მომზადებულია ქ. თბილისის ურბანული მობილურობის გეგმა | ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია. ტრანსპორტის საქალაქო სამსახური. | აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით ტენდერში გამარჯვებული კომპანია ramboll | I-IV კვ | 1,900,000 ევრო (6,080,000 ლარი) | აზიის განვითარების ბანკის სესხი | |
| | 22 | ქ თბილისის ტრანზიტული საზოგადოებრივი ტრანსპორტის (ავტობუსის) განცალკევებული ზოლების, დერეფნების დაგეგმარება და დეტალური დიზაინის შექმნა | ქ. თბილისში უსაფრთხოდ და შეუფერხებლად გადაყვანილი 141 მლნ. მგზავრი. | ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ტრანსპორტის საქალაქო სამსახური | ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია (კომპანია). | I-IV კვ. | 700 000 | ადგილობრივი ბიუჯეტი | |
| | 23 | საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების სრული აღრიცხვა და ანალიზი მონაცემთა ერთიანი ბაზის საშუალებით და საგზაო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ყველა შესაბამისი უწყებისთვის არსებულ მონაცემებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | მონაცემები ხელმისაწვდომია საგზაო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ყველა შესაბამისი უწყებისთვის (5 უწყება) | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო | | I-IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | 24 | შსს მოსამსახურეების გადამზადება საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების შესახებ სრული და ხარისხიანი მონაცემების შესაგროვებლად | შსს მოსამსახურეები გადამზადებულები არიან ავტოსაგზაო შემთხვევებთან დაკავშირებით სრულყოფილი და ხარისხიანი ინფორმაციის მიღების მიმართულებით | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სსიპ - შსს აკადემია | | I-IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | 25 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ავტომანქანების ბორტ-კომპიუტერებით აღჭურვა საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების შესახებ მონაცემების შესაგროვებლად | შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო სამსახურის ბორტ-კომპიუტერებით აღჭურვილი ავტომობილების რაოდენობა | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი | | I-IV კვ. | 132 550 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| საგზაო შემთხვევის შემდგომ რეაგირების ეფექტურობის გაუმჯობესება | 26 | საგზაო ტრავმატიზმით გამოწვეული სიკვდილის შემთხვევის(შემთხვევიდან სიკვდილის დადგომამდე 30 დღე) სტანდარტული დეფინიციის მიღება და დანერგვა | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გამოცემულია მინისტრის შესაბამისი სამართლებრივი აქტით დამტკიცებული დოკუმენტი | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი | | I-IV კვ | ადმინისტრაციული ხარჯი | სახელმწიფო ბიუჯეტი | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 27 | ევროკომისიის მიერ მოწოდებული დაზიანების ხარისხის შემფასებელი MAIS -ს (დაზიანების მაქსიმალურად შემოკლებული შკალა - Maximum Abbreviated Injury Score - MAIS) შკალის შესაბამისად - სერიოზული და მსუბუქი დაზიანების დეფინიციის მიღება და დანერგვა | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გამოცემულია მინისტრის შესაბამისი სამართლებრივი აქტით დამტკიცებული დოკუმენტი | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი | | I-IV კვ | ადმინისტრაციული ხარჯი | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | 28 | ავტო-საგზაო შემთხვევის დროს დაშავებულთათვის მაღალი ხარისხის სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო სერვისების მიწოდების მიზნით სასწრაფოს მედპერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელი სწავლების განხორციელება (სასწრაფოს ბრიგადების ტრენინგები) | ქვეყანაში არსებობს მედპერსონალის კრიტიკული რაოდენობა, რომელთაც გავლილი აქვთ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აკრედიტირებული სასწავლო მოდულები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად | სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი | | I-IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | 29 | სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურში პარამედიკოსის ინსტიტუტის გაძლიერება | არსებობს პარამედიკოსთა კრიტიკული რაოდენობა, რომელთაც გავლილი აქვთ აკრედიტირებული სასწავლო მოდული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, 2020 წლის ბოლოს სასწრაფოს ბრიგადები დაკომპლექტებულია 100 პარამედიკოსით | სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი | | I-IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | | | | | ჯამი: | 46 365 777 | | |